სანოტარო აქტი

ორიათას ჩვიდმეტი წლის ოცდათერთმეტ იანვარს, მე, ნოტარიუს ირმა ფირცხალავას, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მეტრო „ახმეტელის თეატრი"-ს მიმდებარე ტერიტორია პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით დამიკავშირდა *ჩემთვის ცნობილი პიროვნება, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე* **არჩილ მენთეშაშვილი** (რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, დაბადებული 14.07.1965წელს, რუსეთის ფერდერაციის მოქალაქის პასპორტი 72 1745669, გაცემული 29.10.2012წელს ფედერალურ სამიგრაციო სამსახური 77605-ის მიერ, მცხ: რ/ფ, ქ. მოსკოვი, პროფსოიუზნაიას ქ. სახლი 13/12, ბინა 89), რომელმაც განაცხადა, რომ ამჟამად იმყოფება – **რუსეთის ფედერაციაში.** მან განაცხადა, რომ სურს ნოტარიუსის წინაშე ონლაინ რეჟიმში **გასცეს მინდობილობა** და დაადასტუროს იგი სანოტარო წესით.

სანოტარო მოქმედების შესრულებას ესწრებოდნენ: **კობა კვანტალიანი** (დაბადებული 09.11.1976წ, თბილისში, პირადი №01015005319, მცხოვრები: ქალაქი თბილისი, ზაქარია ფალიაშვილის ქუჩა, N 98, ბინა 5) როგორც *მინდობილობის გამცემის ნდობით აღჭურვილი პირი (ხელმომწერი)* და – **ქსენია სანიკიძე** (დაბადებული 02.03.1940წ., თბილისში, პირადი №01002029462, მცხ: თბილისი, გლდანის დას. მიდელაურის 12ა), *როგორც მოწმე.*

ვადასტურებ, რომ სანოტარო მოქმედების მონაწილეთა ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნდა. მე, ნოტარიუსმა, სანოტარო მოქმედების მონაწილეებს განვუმარტე სანოტარო მოქმედების შინაარსი და მისი შესრულების სამართლებრივი შედეგები და განუმარტე მონაწილე პირებს მოწმეობის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ. მხარემ და მოწმემ დამიდასტურეს მოწმეობის გამომრიცხავი გარემოებების არარსებობის შესახებ, რის შემდგომაც, **არჩილ მენთეშაშვილმა** ხელმომწერისა და მოწმის თანდასწრებით მიკარნახა შემდეგი შინაარსის **მინდობილობა:**

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

„მე, **არჩილ მენთეშაშვილი** ვანიჭებ შ.პ.ს. "ორთაჭალა 2014"-ის (ს/კ406122397) დირექტორს **მიხეილ მენთეშაშვილს** (დაბადებული 23.10.1962წ, თბილისში, პირადი №01017006931) შემდეგ უფლებამოსილებას:

იყოს ჩემი წარმომადგენელი საქართველოს ნებისმიერ სამინისტროში, მათ შორის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სამეწარმეო რეესტრში, სანოტარო ბიუროში, ხელი მოაწეროს შეთანხმებებს სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ ან/და სრულად ან/და ნაწილობრივ გააუქმოს იპოთეკა (სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება დადასტურებული 17.02.2015წელს, რეესტრის №150150777 და ცვლილება დადასტურებული 16.04.2015წ. რეესტრის №150364273) უძრავ ქონებებზე განლაგებული საკადასტრო კოდზე: 01.18.05.008.140, პირობები განსაზღვროს თავისი შეხედულებისამებრ, წარადგინოს და მიიღოს საჭირო საბუთები, რეგისტრაციაში გაატაროს ნებისმიერი საბუთი, ხელი მოაწეროს ჩემს მაგივრად და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული ამ დავალების შესასრულებლად.

მინდობილობას გავცემ უვადოდ გადანდობის უფლების გარეშე.

წინამდებარე მინდობილობის ტექსტი ჩავიწერე მე, ნოტარიუსმა, რომელიც პირდაპირი კომუნიკაციის რეჟიმში წავუკითხე მიმნდობს. მიმნდობმა დამიდასტურა, რომ მინდობილობის ტექსტი სრულად შეესაბამება მის ნებას და რომ მინდობილობის განცხადებისას იგი არ იმყოფება რაიმე სახის ფიზიკური, ფსიქიკური ან რაიმე სხვა სახის ზეწოლის ქვეშ და რომ მის ნაცვლად მინდობილობის ტექსტზე ხელის მოწერის უფლებას ანდობს **კობა კვანტალიანს.**

მინდობილობა შედგენილია ხუთ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ჩემს სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა **კობა კვანტალიანს.**

გადახდილია საზღაური – 50.00 (ორმოცდაათი) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 32-ე მუხლისა, დღგ 9.00 (ცხრა) ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, ავრეთვე ორი ლარი თანახმად ამავე დადგენილების 39-ე მუხლისა.

მიმნდობის ნდობით აღჭურვილი
პირი **კობა კვანტალიანი**

ხელმოწ.

ნოტარიუსი:

კობა კვანტალიანი

ირმა ფირცხალავა

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

59375864731217

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მიღებული რწმუნებულების/მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N170096722

რეგისტრაციის თარიღი

31.01.2017 წ

ნოტარიუსი: ირმა ფირცხალავა
მისამართი: თბილისი, მეტრო "ახმეტელი"-ს მიმდებარე ტერიტორია
ტელეფონი: 2249212

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორთაჭალა 2014

თანხმობა

არჩილ მენთეშაშვილი (პასპორტის ნომერი: 72 1745669), წარმოდგენილი მიხეილ მენთეშაშვილის სახით (პ/ნ 01017006931) ვაცხადებ თანხმობას, N 2720177 2966592 შეთანხმებულ პროექტში განხორციელდეს ცვლილებები AR1517775 განცხადების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის N 3404795 გადაწყვეტილების შესაბამისად.

(მინდობილობა, იხ. დანართი)

წარმომადგენელი / მიხეილ მენთეშაშვილი/

